



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატობიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღამ.

№ 17

ს ა რ ი ლ ი 20 1897 წ.

№ 17

შინაარსი: ქართველი კაცი, Amicus ის. — სწვა-და-სწვა ამბავი. — ღია წერილი თ. ილ. ჭავჭავაძის მიმართ, გ. წერეთელი-სა. — ასეთი ამწეობით ბედ-იღბალი, პ. ბ. ძიას. — ჩუხელნი და მათი ისტორია, გ. წერეთლისა. — ნაბი მთისა (ჭინჭინი), ლექსი ია-ნ. დათუაშვილისა. — გავერით, ევალაძისა. — „კვლის“ კორესპონდენციები. — თუ შური ლექსები (შემდგენი) — წერილი რედაქციის მიმართ. — ცნობილია შთანაჩენის განუთარება (დასასრული), ი. ფანცხვასი. — განცხადებანი.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოთ აცხადებს, რომ მსურველთა ყოველ დღე შეუძლიათ მიიღონ ქალაქის კანცელარიაში ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს ამა წლის 8 აპრილის დადგენილების თანახმად შესწორებული, საბოლოო სია აღმომარჩეველთა, რომლითაც ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნები უნდა ამოირჩენ 1897-1901 წლისათვის.

(3-1)

ქართველი კაცი.

(სამედროო სურათი).

ფელეტონი — დღე მოკლე მწერა: ტესლან ისანს მტრის სსუელში სტოკებს და ვაგერ-ამოურელი მალე გვება.

მრესკოტი.

I.



ქართველი ადამიანის დღევანდელი პიროვნება ნაირ-ნაირი ფიქრების წყაროა. სატირიულ ჟანრშიაქვეტილი“ შემთ რომ დაატკერდეთ ჩვენ ღროის ქართველ კაცს, ნათლათ დარწმუნდებით,

რომ იგი თავიდან ფეხამდის მსოფლიო ანდაზის უარმკეთელა: ალიდეუღსა და სასაცილოს შუა ერთი ბიჯი მანძილია“. ქართველი კაცი გაზღაუთ უტუნაურესათ შესისხლ-ხორცებული დიდებული სასაცილობა, ისე მქიდროთა და საუკუნოთ, რომ კრიტიკათ შუა თავის პაწია ნეკსაც ვერ გაატარ-გამოატარებს. მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ისეთი მძლავრი სულიერი მანქანა, რომ დიდებულ ქართველს მისი სასაცილობა მოაგლიჯოს ისე, რომ მის დიდებულებას ამით არაფერი ეწოს. არც მის სასაცილობას მოეგლიჯება მისი დიდებულება ამ მისი სასაცილობის უფნებლათ. განემარტოთ ეს ჩვენს ტეზისი, მტკიცე დებულება.

რა არის ქართველი კაცი? მისი დიდებული წარსულის პაწია შედგვი. რა არის ქართველი კაცის სულის მოძრაობა? მის ძღვევა-მოსილ წარსულზე უძლური ოცნება. ჩვენ ღროის უსუსური ქართველის მძლავრი მფარველი მისი გმირული წარსულია და ამ თავის წარსულს კაცის და ეპოტინება დღევანდელი ქართველი კაცი ყოველ გასაქირში, ტკბილი და საცოდვერ წყა-წყაეთ.

აქ ერთგვარი სულის ვითარება, ცნობილი ფსიხოლოგია მუშაობს. დელაპარაკეთ თქვენ კარგ ნაკ



ნობს, დიდ დაწესებულებაში მცირე მოხელეს. ბედისაგან დაწავრული, უძლური ქმნილება. ყოველ მის სიტყვას ვილა-ცხადლას მოკრიბალებისა და შიშის დიდი აქვს დასმული. იგი ბოჯე ვერ გადადგამს ისე, რომ უკან არ მოიხედოს: მთავრობის უჩინარი და ყოველ-მჭვრეტი თვალის ეშინია. ყოველი მისი სიტყვა თითქო მრისხანე მთავრობის ნება-რთებით გამოცემის ბავთვან მისთა. თავისუფალი მიხერა-მოხერა, ლახათიანი მოძრაობა—დშლილი ხილია მისთვის. მან ჩაიკლა ნებისთა და უნებლიეთ სული თეთსი გულსა შინა თვისსა და თვისს ხსნაზე, კაცური თავმოყვარეობის აღდგენაზე აღარ ფიქრობს. ვახსენეთ ახლა ამ საცოდავ ქმნილებას მისი ახვანის წარსული, მისი ნაშყო ფუფუნება, ოდესმე მდიდარ-დიდებული მისი გეგროვნობა,—ვახსენეთ-მეთქი, ყველა ვგენი, შემდეგ ცოტათი უკან დაიხიეთ და თქვენი პაწია მოხელეს თვალს „მოაზრეთ“. ღმერთო, ეს რა უსწაური ამბავია, რა სწრაფი ფერისცვალობა მოხდა თქვენ თვალ-წინ! თითქო რაღაც უჩინ-მაჩინმა მანქანებამ თქვენ ნაცნობს მისი პაწიაობა შემოავლიჯა, იქვე ძველ არხივ-სალარაში შეავლო, იმ არხივიდან მისი ძველი დიდებულება ამოაფრიალა, და მით თქვენი მოხელე თავით-ფეხაძის შემოსა. ყველა ეს ერთი თვალის „ხამხამის“ უმადი მოხდა. თითქო თქვენი ძველი პაწია ნაცნობი გულ-წასული სადღაც კარში გაათრეოს და თქვენ-წინ აწ ახალთ-ახალი კაცი დგას, თქვენი ახალი დიდი ნაცნობი, გულში და თვალებში ახალ ცეცხლ ანთებული. ფუ, ვიჯმნი ეშმაკისაგან! ამ ერთი წამინდელი თქვენი ცნობილი პაწია ნიკიფორე ამ წამს დიდი ნიკიფორისისმუსისა, წელ-გამართული და თავ-ადრეცილი ნიკოფორისისმუსი. რა იქნა მისი ძველი ლაჩრობა, სად არის მისი მოსმარობა და უკუ-მხედველობა? გაქრა ვით შარშანდელი თორევი გულსა შინა ამა ნიკიფორისისასა და ამ გულსავე ცხოვრების წყლთა იქცა.

ნიკიფორე ახლა შეენიერთ თვალ-ნათლობს და ენა-წყლთიანობს. ყოველი მისი სიტყვა მისი გამქრალი დიდებიდან დაბრუნებული ტურფა ლალია, წმინდა და საყვარლათ მოგედოვარე. აი რანი ვიყავით ჩვენ წინა დროში და რა შეენიერი რაგინდარაობა გეკონდა ჩვენ ხელათაო!

ასეთივე განლაგეთ ჩვენ ქართველ-პატრიოტთა, ჩვენ აწმყოობაში პაწია მოხელეთა და წარსულში უკუ-მქვირალთა, ჩვენი დროის ნიკიფორეთა სულის ენთარება, მოკლეთ შემოხაზული.

ვალახ ჩვენ! ასე მკიდროთ დაკავშირებულნი ცოცხლობენ ჩვენში ქართველი სულის დიდებული და სსაძიკლო თვისებანი.

ჩვენი ძლიერება—ცრუ პატრიოტული ძლიერება,—ის მასალაა, რომლით შეენიერი მშხალეები მხალდება, ის ცეცხლია, რომელიც გულსა და ფიქრს ვერ ჰკვეთება და ანთებულ ვარსკვლავებთ განიხნევა ხოლმე პაერში.

ქართული გონების ნაწარმოებში, უმრავლესათ, აზრის რამოდენიმე ნაჭერწყალი თუ მოიძებნება, ქართული პატრიოტობის შემოქმედლობა კი თავიდან ბოლომდის ცეცხლი და მახვილია, შეენიერი ცეცხლი და გმირული მახვილი.

ვთქვათ, ქართველი კაცის გვერდით მისმა მეზობელმა ადგილი ჩაივლო ხელში, ზედ ლამაზი ბოსტანი გააშენა, ტურფა კომპოსტო და ქარხალი მოიყენა, თვით ჰამა და ბეგრიც სისხლის ფასათ გაყიდა. ყველა მაგაგებს დიდხანს უცქერის თვალ-ნათვლიანი, გულ-მომთმენი და ხელ-გაუძირველი ქართველი კაცი და იმის მაგიერათ, რომ თვითონაც აქვე ახლოს ბოსტანი გაიკეთოს, ტურფა ქარხალ-კომპოსტო მოიყენოს, თვით ჰამის და დანარჩენი ქარხალ-კომპოსტოს ფასათ გაყიდოს, ყველა მაგაგების სამაგიეროთ დიდხანს თვალ-გულ—ხელ-მომცდარი ქართველი უცქრათ იფეთქეს ხოლმე, მეზობლის ლობებს ეძებრება, თავს ამ ლობებს ვადღმა ვადაქა ნებს (რასაკვირველია ვადმოძმა, თავის ადვოლზე, იგი ამ დროს უთავოთ რჩება) და მეზობლებს ბრახმირეგითა და ეფიროლათ შესძახებს: „აი შე უსამუსო, ამა და ამ ერის ვავდებულთა არამხადავ! ეს ადვილს პატრონობ, შე უბედურთა, შენა? არ იცი, რომ იქ, სადაც შენ ქარხალ-კომპოსტოს უსირცხვოთ ამოუყვითათ თაფი, ჩემი პაპის-პაპის ბენიდაის ძმისწყლთმა პირველთ იხილა ნათელი მხისა?! მაშ რა ოხრობა იცი, შე უგუნურთა შენა? როგორ ბედავ და ამ წმინდა ადვოლს შენ უწმინდურ ხელ-ფეხს ანძირე! გასწი მანდღდან, გამცვალე!“

რას არ მიედ-მოვლება ამ დროს ბრახ-მორეული გმირი ქართველი! რეებს არ ჩადის! რა ნაირ-ნაირ სიტყვებს ისერის თავისი მეზობლის ბოსტანში! ყველაზე მეტი ქარხალ-კომპოსტოს პატრონის ეროვნობას მოხედება ხოლმე. გულ-ანთებულ, ამრინებულ ქართველს ავიწყდება ამ დროს, რომ არსად, მთელი დედამიწის ზურგზე, არც ერთ ეროვნებას არ აღირებს ხოლმე განგება სრულსა და მსოფლიოა მეზობლენობას. მან არ იცის, რომ ყოველ ერის წიაღსა შინა, ყოველი ხალხის ფარვალში ერთ ბოსტნის პატრონზე ათასი უბოსტნო და დლიური ლუქმაპერის მძებნელი ადამიანი მოდის. ბოსტან-მოკლებული ქართველი გმირი ხომ-კაცალ სეტყვასავით თავზე აყრის კიცხვა-კრულვას მეზობლის მთელ ეროვნებას, მტყუანსა და მართალს განუჩიეკლათ. ეს

ლანძველა-კარულვა ვაზროტებელი გულის მიენე
 ოსწიერის ჩამონაწარია. ამისთანა ოსწიერის მეზო-
 ბელ ხალხის გულიდან სწორეთ მისი შვავის ოსწი-
 ვარი დაუხედება, იქნება თავზე გადაეცლოს კიდეცა
 და ქართველ ეროვნებაზე წრკლათ და თავისუფლათ
 ინოშ-ვაკლოს. მერე რომელ მათანს დააყრის ხეირს
 ერთმანეთის დასტყევა-განადგურება?

ქართველი კაცის თელთა-ხედვის ისარი მოკ-
 ლეა და პირ-ჩლოწევი. იგი ყოველთვის გარეშე მტრი-
 სადმი არის მიმართული, შინაურ ჭირ-გვარამში კი
 უძღლურ-უსუსტრობს. ეს ვახლეთ ჩენი ძველი გმი-
 რობის დღევანდელი ნაშთი, ჩენი გამქრალი ეაქე-
 ცობის შთენილი ნაყოფი.

თელია გადავლეთ ჩენი „ქართველობის“ სუ-
 რათს, ქართული საზოგადო საქმეს. მისი ძარღვი ჩუ-
 მადა და მელათ სცემს, იმიტომ რომ ქართველი გული-
 უმეცარი, უსიცოცხლო გულია და თავის ძარღეს
 ცხოველ-მყოფელი სისხლით ვერ ჰკვებავს. ჩენი სა-
 ზოგადოება თითქო დროებითა და უგულოთ ასრუ-
 ლებს საზოგადოების თანამდებობას. ჟამთა-მსვლელო-
 ბამ, ჩენდა დაუკითხავათ, ძველ გმირულ ასპარე-
 ზიდან ახალ ხანაში ვაღმრავასკუბა და ამ მოულოდ-
 ნელი საქციელით გზა და კვალი დაგვიბნია. საზო-
 ვადოებრივი აზრის ზრდასა და მოწიფებას ყველგან
 თავისი ისტორია აქვს, ჩენში კი ის უცხო ხილია,
 ჩენი ერის ძველსა და ევლურ სტეულზე ძალათ დამყ-
 ნილი და ამიტომ ვერ-მკრთალობს და ვერ ხეი-
 რობს.

ამ მოვლენის ძირითადი მიზეზები ის არის, რომ
 ჯერ-ჯერობით სიტყვას „საზოგადო“ ფესვი ვერ მო-
 უკიდნია ქართველი კაცის გულში და ფიქრში:
 იგი ახალი მოვლენაა ჩენ ცხოვრებაში.

ძველ თბიერში არ ჩაისხმის ახალი ღვინო და
 ძველ დკონკილ სამოსელს ახალი ნაჭერი არ და-
 გვერება.

Amicus.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს
 შესაძლებლათ დაუნახათ, თელაქის მაზრის
 სოფ. შილდის 20 კომლ ვლეზკაუტ შეუმ-
 სუბუქან იმ ძველი დარჩენილი შესატანი ფულის
 გადახდა, რომელიც მამულის გამოსაყიდლათ შე-
 აქეთ ხაზინაში. („იერია“)

ჩენი სოფლის მასწავლებლების გამწარებული

ყოფა-ცხოვრება უფრო და უფრო მწარდება უჯამა-
 გირობით. ვაზ. „კავკას“ წერენ ოზურგეთიდან: აკე-
 თის ორ კლასიან სასწავლებლის მასწავლებელთ
 არ მიუღიათ 1896 წლის დეკემბრისა და ნოემბრის
 ჯამაგირები. ამ წლის ჯამაგირებისათვის საჭირო ხარ-
 ჯი კი ჯერც არ ვაუწერიათ და ნ-ნ თვე უნდა
 უქადონ, სანამ აილედნენო. მთელი მაზრის სოფლის
 მასწავლებლებიც ამ მდგომარეობაში ყოფილან. ჩენ
 დაძვტენ, რომ სხვა მაზრებშიც ვაჭირებული არიან
 ამ მხრით მასწავლებლები და ნუ თუ არაფერი ეშვე-
 ლება იმათ მდგომარეობას?

ამ წლის პირველ ენკენისთიდან გამოვა ყო-
 ველ თეურთი ქართული „კრებული“, ჩენი პოეტის,
 თავ. აკაი წერეთლის რედაქტორობით. ჟურნალში
 მოათავსებული იქნება თ. აკაის ნაწერები და სახალ-
 ხო ზეპირსიტყვაობითი ნაწარმოებნი. ჟურნალი ეი-
 რება წლიურთ-ნ მან.

საქარის სანერგეში ამერიკული ვაზის მოვლა-
 მოშენების შესახებ ჯამართულ პრაქტიკულ კურსებს
 400-მდე კაცი დასწრება: მეურნენი და გენახების
 პატრონები, მოწიფეები თელისის საბაღოსნო სკო-
 ლისა, ქუთაისის სამეურნეო სკოლისა და ზესტაფო-
 ნის ნორმალურ სკოლისა. სანერგეში ამ გაზაზულ-
 ზე 80,000 ამერიკული ვაზი დაუქმნიათ. (ნოვ. ობ.)

ჟურნალ „Вѣстникъ Виведѣнiа“-ში სახელო-გან-
 თქმული პრაფესორი მეწველვევი წერს: საფრანგეთ-
 ში წელიწადში 220 მილიონი ევლა ღვინო კეთ-
 დება, იტალიაში—250 მილ. ევლ. ღვინო; ეს ორი
 ქვეყანა თავისი ღვინის წყალობით წელიწადში 1400
 მილიონ მანათს დაბრუნებს ხოლმე. მთელი რუსე-
 თის ხორბლეულობა არ ფასობს ამდენათო. სიერ-
 ცით რუსეთის ის ადგილები, სადაც ეწვახი ხარობს,
 (კავკასია, ყირიმი, დონის ოლქი, ზესსარაბია, ამიერ
 კასპიის მხარე და სხვ.) აღმავტება საფრანგეთისა და
 იტალიის შეერთებულ ეწვახებს. აქედან ცხადია, რომ
 რუსეთს შეეძლო, მელღინეობით ამ ორ სახელმწი-
 ფოს გასწორებოდა. პრაფესორი იმ აზრისაა, რომ
 რუსეთში ღვინოების შესწავლა უნდა გაძლიერდეს,
 უნდა დააზრდეს საცდელი საღვურები ეწვახის კულ-
 ტურის შესასწავლათ. იმედია, ამ გზით შეიძლება შეე-
 ნიერათ გაუმჯობესდეს კავკასიის თეთრი და წითელი
 ღვინოებია, ყირიმის ტბილი ღვინოებია და სხ.

გაზეთებმა სამწუხარო ამბავი მოგვითხარეს: მცხეთაში თავი მოკლა იოსებ რომანოვის ძემ მრევლი-შვილმა, ჯერ სასულგაზა და უკოლ-შეილო კაცმა. ამ უდროეო სხედლოს მიზეზი, ამბობენ, სული-აუთმოფოზა იყო. თვლილის ქართველობას კარ-ვათ ესხამება მალალი ტანის, ლამაზი ნაქაცო იოსებ მრევლი-შვილი. ის მართად აქ ცერძო პანსიონ-სა და მოსამზადებელ სასწავლებელს და საყმაწვილო ჟურნალ ნობათში თანამშრომლობდა. მისმა საბავშვო მოთხოვნებმა თავის დროზე საზოგადოების ყურადღება დაიმსახურეს.

სიონის ტაძრის მუზეუმში საეკლესიო ნაშთთა უკეთ შესასწავლათ მისმა მალალ ყოვლად უსამღედლოცობამ საქართველოს ექსარქისმა ევლიმერმა ამ მუზეის გამეგ კომიტეტის წევრებათ დაამტკიცა: პირველ დამსწრეთ არქიმანდრიტი ლენინი და წევრებათ—ილუმენი კირონი, დეკანოზი პეტრე ქონიაშვილი, მღვდლები: კალისტრატე ცინცაძე, მარკოზ ტყეშელაძე და ვასილ კარბელაშვილი; სასულიერო სემინარიის მასწავლებლები: მოსე ჯანაშვილი, ი. ფერაძე, სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორი ე. თაყაიშვილი და ფოტოგრაფი ა. როინაშვილი. (ივერ.).

29 და 30 აპრილს და 1 და 2 მაისს ამა 1897 წ. ქ. ბაქოში სახელმწიფო სათევზაო ადგილები გაიყვანა იჯარით (въ Особомъ Присутствѣ и при Управленіи рыбными промыслами) სამი წლის ვადით 1 რენისიდან 1897--1 იენისამდე 1900 წ. ვაჭრობა პირადად, შეიძლება აგრეთვე დახურული კონცერტების გავზავნიდაც—მოწერილი განცხადებით, ყოველი სათევზაო ადგილი ცალკე გაცემა ამიტომ მოწერილ განცხადებაშიც ყოველ ადგილ-სათვის ცალკე უნდა აღინიშნოს საიჯარო ფასი. განცხადებები უნდა გაიგზავნოს საწინდარისა და მოვაჭრეთა წოდების დამატკიცებელი დოკუმენტების დამატებით შემდეგი ადრესით: въ г. Баку, въ Управленіи рыбными промыслами въ восточной части Закавказскаго Края. საწინდარი წლიური იჯარის ფასის ნავეარი უნდა იქნეს.

ღია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს.



ქვენი მოწინავე წერილი „ივერის“ № 7-ში დასტამბული, სახეს უმართებულა ლაქი-ვაკინებითა და ბეზლობითა, ჩემდამო მომავალი, ახალი ამბავი არ არის. დღიდან „ეკლესიის“ დაარსებისა აქამომდე თქვენ და თქვენი ამაღისე არ ახსენებთ ჟურნალ „ეკლას“ და მის თანამშრომელს გ. წერეთელს, რომ ყოველნაირი დაწამებით, ბეზლობით და თქვენი შეუფერებელი, უკადრისი ლანძღვა-გინებით არ შეგვემკოთ. მოიგონეთ საოცარი და ყურში თით-დასაცობი სიტყვები თქვენი თანამშრომელი „მეზურნეებისა“ (იხილეთ 1893 წლის „ივერისი“ ნომრების ფელეტონები სახელათ „ზურნა“), ჯობიალისა და მრავალი სხვებისა. ყოველივე ეს ამტკიცებს მას, რომ თქვენ „ეკალი“ და მისი თანამშრომელი გ. წერეთელი რაღაც კბილის ჭიათ გაგჩენიათ და არაერთარ საშუალებას, ასე გაშინჯეთ, პირადად თქვენ დამამცირებელსაც არ ზოგავთ, რომ ეს თქვენი ამოთვალწუნებელი ჟურნალი „ეკალი“ და მისი თანამშრომელი გ. წერეთელი მიწასთან გასწორდით. მაგრამ ეს „ეკალი“ და მის თანამშრომელზე მარტო ხოა არ ყოფილა ხოლმე. მას აქეთ, რაც თქვენ საკუთარი ქართული ორგანოა დაარსეთ, იმისაც კი გაუშენდნა თქვენთან ახრთენებაში კამათი, ყველას ბლომათ მოხედვრია თქვენ და თქვენ ამაღათამიერ შემზადებული ტალახი. ამ თქვენ შიგერ გამო-ნატყრო ტალახს და ბეზლობას არ გადაჩრენია არც ერთი ჩვენი ქართველი მოღვაწეთავანი, რომელთაც ბედნიერება არ ჰქონებინა ზოგიერთი თქვენი მოქმედება მწერლობაში არ გაეცეს: თ და შესაფერათ არ დაეფასებინათ, თქვენ ბძანებთ, „ვისიც ერღო მალალია, ის (იგულისხმე გ. წერეთელი) მისი მაყარია“. მალალ ერღოში მართლაც, რომ თქვენ ბძანდებთ და ამ მალალი ერღოს მაყარ-მაყარი, ეს ოცი წელია, მუდამ ერთნაირი ჰანჯე ლიღინებთ; თვარა გ. წერეთლის მალალი ერღო არავის გაუგონია. ეს ოც-და-თოთხმეტი წელიწადია ის ღარიბ ლიტერატურულ შრომას ეწევა და თავისი საკუთარი ქონე-ბიდანაც ბეგრი წაუქია ამ შრობაში, არამც თუ რამე შეეძინოს.

ქართველ-სომეხთა შორის ეროვნული მტრობის ჩამოგდების გამო თქვენ მოგსულიათ ხელ-მოაუწერელი ლანძღვის წერილები და ამასაც მე მაწამებთ—მეტე ურიგობა და ბეზლობა თქვენგან რაღა იქნება. მე, ბატონო, რაც მაქ, ან მქონდა სათქმელი თქვენთვის, პირში მოკახსენეთ და ზურგს უკანიდან კენჭების სროლა ჩემი ჩვეულება არ არის, როგორც

ზოგიერთებს ჩევიით, რომელნიც თავის ყურ მოკრიოლ ყმებსვისე მისუყენ ხოლმე და არიგებენ: „გჯერას აციეთ ვეკა“, თე-თონ კი ამ ღროს თავის ზერგბ-სერე მდიან და შიგ იმალბიან. განა თქვენ, რომელსაც იმდენი ღვაწლი მივიძღვისთ ქართულ ლიტერატურის წინაშე, გეკადრებათ ასეთი მოკრეზება: „ამთ (მეგრელებს) ეუბნებათ“ გ. წერეთელი: „თქვენ ქართველებთან რა ხელი გაქვთ, წადით, გაგვეკადრეთო, საიდამაც მოთრეულხართო?...“ მე რამ ვისმე „მარგალისკუა“ დეურეძახო, განა ეს ნიშნავს სამეგრელოს ხალხის შეუღლებულობით მოხსენებას. აი, ამას ჰქვია მუხთლობა, ზურგდან მიპარეთ მახეილით დაკემა მ-წინააღმდეგისა. დახე, ასეთი თქვენი ღირსების შეუფერებელი ოინების ხმაჩება მიზეზი, რ-მ თქვენ დღეს თაე სუფულ მოაზრე ქართველ ინტელიგენციასი დაქარავთ თითქმის ყოველი ნდობა. მიიხედ-მოჩინებეთ, აბა, ვინღა დარჩენიათ გარშემო თქვენი მ მართლმდებ-ს გამამდიგრებელნი თანამშრომელნი. ყველანი თქვენი გაუტანლობით შემოფიანრეთ. მოიგონეთ თქვენი მტრობა დ. ყუიანიანს, თ. დ. ერისთავთან, ნ. ნიკოლაძესთან, აკაკი წერეთელთან ჭ მრავალთა სხვათა ჩვენთა მოღვაწეთა, რომელნიც წარჩინებულნი ნიკთ და ქვეყნის სიყვარულით განიარჩეოდნენ. ესენი ყველა გულ-ნატკენნი გარს-შემოაციოდნენ და ახლა დარჩით მხოლოთ თქვენი ძველი „მეზურნების“ ამარა, რომელთაც თავის საკუთარი ქუჩის ფურცელი გააჩნეს და „ზურნით“ შეამკობენ თქვენ დიდებულებას. მეგრეშუენთ, არც საქართველოს ერთი მოელოდა თქვენგან ასეთ საქციელს, რომ ყველა კობაოდნათ ნიკის მექონე, საზოგადო მოღვაწეობის მოქვენი და თავისუფალი მოაზრე ახალგაზღობა დაქსაქსეთ და მარტოთ-მარტო დარჩენილხართ.

თქვენ მიიყინებთ: „დიდი ხანი არ გაივლისო, რომ დიანჯს შემოიყრის (იგულისხმე გ. წერეთელი), ქულსაც ჩაიკეცავს, ჩითმერდინსაც ყულზე დამსულელათ გადაიდგებს და დაუ-ზურნით შუა ბაზარში ჩაივლის. ღმერთმანი კობანი მისძანებენ სიხარულით: „აჲა ბაღში მიძანებდა, მიხედ მოხედვისი კობიმე“ (დაგელოცო ოახუნჯობა!), მითამ არ მოუხდება თუ“.

ბაღში წასვლის რა მოგახსენო. ეს ექვის წელიწადია, თფლისში ეცხოვრებ და ორთაჰალის ბაღები თვალთაც არ მინახავს. მე კი ეციე ისეთი „დაჯ“, რომელსაც დიდი ორშუათის შუაბაზარში დავა-ზურნით ჩაუდელია, ორთაჰალას ნადიმთ ჰმძანებულა. თაე-ზედაც ლლზინიანის ჩაჩი დღესუარეა, იმათ შორის ბაკალც მიურთმეგია, და დღეს კი იმათე მუშტი კრივით ემუქრება.

„წაჯექ-უტუჯექობას“ რომ მამბრალბეთ, განა

იმაზე მეტი „წაჯექ-უტუჯექობა“ იქნება, თქვენ რომ ამ კობა ხანში „იერარის“ ფურცლებზე მოიქმედეთ.

ერთ დღეს სომხები ყბათ აიღეთ, იმათი ღირსება მიწასთან გაასწორეთ, მცარეველები და კონტრამანდისტები დაარკეთ და მეორე დღეს საქვეყნით გამოაცხადეთ, რომ სომხებმა მადალი კულტურის ხალხბაო, მოიპირნენ, მშრომელი, მკვიდრი ოჯახს მექონე, განათლების მოყვარე და სხვა და სხვა. თქვე დალოცილო, თუ კი ასეთი იყენ სომხები, ლანძღვას რალას ემბრალბებოდი.

რაიცა შეეცება ჩემ „წაჯექ-უტუჯექობას“, აი, მე! და, აი, ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობა! გამაშალეთ ოცდა თოთხმეტი წელიწადების ფურცლები და თუნდ ერთგან მიხედეთ ისეთი რაიმე, რომელშიც ჩემი პრინციპს წინააღმდეგი დამეწიროს. ღეთის წინაშე, ერთგან კი ეუბნუყენ ჩემ შეხედულობას იმათი, რომ მე გააცუბულა ვიყავი თქვენი მოღვაწეობათ, სანამდის ბანკრათ გახდებოდი, მერე კი, უკაცრავათ, ჩამოგვეკალეთ, იმითამ რომ ბანკირობამ სულ სხვა არალიტერატურული ზნეები დაგაქვრიათ.

მე თუ ამ დროში, რაიცა უცხოველები გეთვალთვალენ, ეწინააღმდეგებ მტრობის ჩამორგდვას გარეშე მეზობლებთანაც კი, განა დასაჯერებელია, რომ ჩვენ სისულ-ხორც მძებს ხელი ვკრას?!

იქნება თქვენ არ იცით და მე თვითონ სამეგრელოს დედის ძეძუთი ვარ აღზრდილი და სხვა მის მეტი ღვიძლანდები დედა არ მასს-ოც. ნუ თუ მე ისეთი სატანისებური ბორბტ მომქმედი უნდა ვიყო, რომ ჩემი საკუთარი სამშობლოს უარის მყოფელი ვაგზდე, სავა პირველი დედის ალფისი მიგრძენია, სავა პირველათ გამიხელია გონების თვალთ და სამეგრელოს მიდლი ბუნებას ალუძრავს ჩემში უყეთესი გრძობები? ნუ თუ გვონიათ, თქვენ პირმოთენ გულისწყრომას ჩემი აღზრდელი სამეგრელოს მხარე ვერ მიხედება?.. მაგრამ უმჯვანი აზრი და მოქმედება ვინდ მეგრელისაგან იყოს წარმოშობილი, ვინდ იმერლისაგან, ვინდ კახელისაგან, ჩემის აზრით, ყველა დასავაზნა და ის კაცო ზოზლით მოსახსენებელი. აი, ამ ზოზლის გამოსახატველათ მე ვინმარე „მარგალის სკუა“. და იცით, ბატონო, რა არის სახელდობ „მარგალის სკუა“? „მარგალს“, მეგრელები უწოდებენ განუფითარებელს დაბალი წოდების კაცს. ქართველ-სომეხთა შორის ეროვნული ბძობის ატება მე მიმანია ჩენი ერის მენებლათ, ნიშნათ განუფითარებლობას, ვანუჭერებლობასა და ამიტოაც ვინმარე „მარგალის სკუა“—ესე იგი, დაბალი, უმეცარი, განუფითარებელი მეგრელი, რაგორც შემძლო ამ შემთხვევაში მეთქვა: „გლახა ქართველი“ო.. თქვენი კი, ბ-ნო, ილია ჭავჭავაძე, ვითარცა

მეთაურს, არ გეკადრებათ არც ურიგო ლანძღვა-გინება, არც ბეზღობით კულის გამოძმა იცოდეთ, რომ საქართველოს ერი ბევრ თქვენ ღირსებასთან არაოდეს არ გაპატივებსთ იმ განხეთქილებას, რომელიც თქვენ ღუეს ჩამოკადეთ არამც თუ ჩვენსა და სომხებს შუა, არამედ თვით ქართველებს შორის. აბა, მიჩვენეთ, სად არიან ის წარჩინებულნი მოღვაწენი ქვეყნისა, რომელნიც დღეს თქვენ გარს უნდა გეხეონ და თქვენთან ერთათ ხეილი-ხელ ჩაკიდებულნი უნდა შეტკეპროდნენ დიდ ისტორიულ მოვლენას და მასში ეძიებდნენ ქვეყნის ხსნის მომასწავებელ გარემოებათა. ისინი არიან ყოველგან და თქვენთან კი არა, იმიტომ რომ თქვენი გამაპარტანებელი თავმოყვარობის გამო ყველანი შემოირიგეთ და დარჩით სულ მარტო. იცოდეთ, რომ ქება-დიდება მკმეველნი, რომელნიც დღეს გარს გეხევიან, ფონს მვლარ გავიყვანებენ.

ბ. წერეთელი.

ასათ ამწყობთა ბედ-იღბალი ქუთაისში.



რა ერთხელ ყოფილა განხეთქებში დაბეჭდილი გოდება და ტირილი საწყალი ასათ ამწყობთა ლეხისა და ნატერა, რომ რამე წაპალი დასდებოდა ჩვენს მდგომარეობას; მაგრამ არ იქნა და არა, რომ ვისმეს რაიმე ყურადღება მოექცია ჩვენთვის. ყველა მოხელეებს აქეთ თავიანთი ესრეთ წოდებული „თეთი მართებლობა“, ყველა დაწესებულებაში არის დაბალი მოხელეებს, ანუ მოსამსახურეების მფარველი და პატრონი და ჩვენ რა უბედურნი დაგიბადენით, რომ ჩვენთვის კაცი არაფერს ფიქრობს. ჩვენ ცხოვრებას სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ ეტყობა. ჩვენი ცხოვრება არაფრით არ განირჩევა უბრალო დღიურ მუშის ცხოვრებისაგან და უბრალო მუშა ჩვენზე დიდად წინ დგას, რადგანაც სრული დარწმუნებულობა, რომ იმ წესით და რიგით, როგორც დღეს—ხედავ განაგრძობს მუშაობას და ჩვენი საქმე კი ბატონი მესტამბის ქეიფზე არის დამოკიდებული. მაგალითათ დილით ცუდ გუნებაზე ადგა და „შენთან სტამბაში შემოვიდა. „Пошелъ вонъ!“ — დაიყვირებს და გათავდა საქმე; თუ გინდა ერთი წლის ჯამაგირიც მიუღებელი გქონდეს, იმისთვის იგი თავს არ შეიწყუბებს და ასრე უწყურმშოთ ვაკის ტუმბრებს. მესტამბის წყალობით ვინ იცის რამდენი ჩვენი მოხელენი განსაცდელში ვარდებიან!.. ყველა მესტამბემ კარკათ იცის, რომ მის სტამბაში მომუშა-

ვის ბედ-იღბალი მის ხელშია, კარკათ იცის, რომ არაფერ არ ჰქავს კონტრაოცერია, რომ მათი თავგასულობა შელოჯმოს, და ისაც იცის, რომ, თუ ინება და დაითხოვა, სხვებსაც ბევრს იშაენის იმ პარობეშში მომუშავეს, რომელიც მისთვის ხელ მისაცემია და ამის მიხედვით თავ-გასული მესტამბე არ ზოგავს არავითარ სასჯელს, არავითარ უღიერ ქტეას მომუშავესთან, ოღონდ როგორმე ჯიბი და მეტრატობა გაუწიოს სხვა მესტამბეებს, ბევრი ამუშავოს და ღირებული ფასი კი არა, მშრალი პურის ფასიც ძლიერძლიერობით მისცეს საწყალს მუშას, რომლის შრომით და ოჯლით ის ბობოქრობს და „კონსერენციას“ უწევს იმ ხალხს, რომელიც თავიანთ ხელით დღე და ღამე ასწორებს. ქუთაისში, საწყალმა ასათ ამწყობმა, ანუ მენაქქანემ რომ ხმა ამოიღოს და გაუფლავოს მესტამბეებს: „ენება მოგვეციოთ ღამე დასვენებისო!“ (თორემ კვირა უქმე დღეებს ვინ გაბედავს ხმის ამოღებას), მაშინვე ან სულ უნდა გამოთხოვოს სამუშაოს და ან პასუხს მიიღებს ლანძღვა-გინებით, „მე პენსია არ შემიძლია ვისმე ვაძლიო, არაფერი მჩიებაო, ვალი მედებოა“ და სხვა. მერმე ვინ არის დამნაშავე, რომ არაფერი რჩება, ვალი ეღება და სხვა?! ისევე ის მესტამბეები, თითონ მუშაობისა არაფერი გაეგებათ, ხელს უჭერენ თვით მომუშავეს, მცოდნეს ხელობისსა და, აბა, იფიქრეთ, რა უნდა დარჩესთ მათ, რომელთაც სხვისი ფულეებით გაუხსნიათ სტამბა, იმ იმედით, რომ ხალხს ვამუშავებთ, ჩვენ ბატონურათ ვიცხოვრებთ, ვალბდაც გავისტუმრებთ და სხვა, მაგრამ ფიქრმა უმტყუანათ. თითონ თუმცა სხვისი ოჯლით და შრომით, როგორც არის, ცხოვრებენ, მაგრამ მომუშავეს და ვალეების გასტუმრებისა კი რა მოგასენოთ.

რომ შორს არ წაიღებ მაგალითისათვის, მოგახსენებთ ამ დღეებში ჩემი თვლით ნახულს ჩემივე ამხანაგის გაჭირვებას.

მოგვხსენებთ, ბნ ილია ჭყონიამ ავტო მ თვე შესრულდა, რაც თავის ვაშთ „მეურნის“ რედაქციის სახელობაზე გამართა სტამბა და საზოგადოებას თვალს იმითი უხევეს და საქმეებს თხოვა, რომ „მეურნის“ არსებობას ხელი შეუწყეთო, მაგრამ როგორც ჩანს, „მეურნის“ სტამბისთვის საქმის მიცემა ხელს კი არ უწყობს ვაშეთის არსებობას, არამედ ძირს უთხრის მის სიცოცხლეს, რადგანაც მას აქეთ, რაც სტამბა შეიძინა, ცირიფული ვაშეთი ხან თუთხმეტ დღიურათ და ხან თეოურათაც გადაკეთდა, რაზედაც თვითონ რედაქტორიც დავემორწმება. ამ პატრეცემლობა რედაქტორ-მესტამბემ, ჯერ არც კი ჰქონდა თავისი სტამბა გახსნილი, სხვის სტამბაშივე თავისი ასათ ამწყობი თულისიდან გამოიწერა 25

მან., მაგრამ ორი თვის მუშაობის შემდეგ დაითხოვა და უბინაოთ დაავლო. დღესაც არაინ იცის სად, რომელ ქალაქის უბანში ეხეტება საწყალი. მეორე წარსული წლის ოქტომბერში ბათუმიდან ჩამოიყვანა, ცოლ-შვილიანი კაცია, და დღეს, როცა ატყობს აწი ზაფხული დავბა და მუშაობა ნაკლები იქნებოდა გზას გაუყევია; მესამე, მანქანაზე მომუშავე მოხუცებული კაცია, (ისიც ბათუმიდან ჩამოუყვანია) დღიურ პურს ქუჩა-ქუჩა თხოულობს და იმათი იკვებება. პირველი და მესამე მომუშავენი კიდევ, რა გავწყობა, აიტანენ, წაელენ სხვა ქალაქებში და მოსძებნაან სამუშაოს, რადგანაც უკოლ-შვილონი არიან, მაგრამ რა ჰქნას საწყალობა გუ—დემ, რომლის სამი პატარა ბავშვი და ახალ-გაზდა ცოლი მის ანაბარათ არიან და სხვა სარჩო-საბადებელი არა გააჩნიათ რა?!!

ქუთათურმა მესტამებებმა კარგათ იციან, თუ ეინმე სხვა ქალაქიდან ასათ ამწყობი, ან მემანქანე დაბარეს და ხელში ჩაივდეს, მერმე მათი ყურ-მოკრილი ყმა გახდება, რადგანაც სხვათთან სამუშაოს ვერ იშოვიან (ქუთაისში ექვსი სტამბაა, მაგრამ ყველაში მომუშავეთა რიცხვი უსაქმობის გამო მცირეა). მიიღებს თუ არა, ჯამაგირს, მაინც უნდა იმუშაოს იმ იმედით, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც ნახევარს მოამცემს და წავალო, მაგრამ ამ დღე ხვალიობაში გადის თვეები, წელიწადები და მესტამებზე რჩება თითოეულს 200 — 300 მან. და როგორ მიატოვოს ამოდენა ფული საწყალობა სტამბის მომუშავემ *).

აი ამისთვის არის საჭირო მფარველობა, პატრონობა და გულ-შემატყობობა. დღეს ყველამ კარგათ იცის ჩვენი უძლურება, ჩვენი ღატარობა, დაქვეითება და, ვისაც როგორც უნდა, ისე ბურთაობს ჩვენს თავზე. მაგრამ ვიმედოვნებთ, როდესაც იქნება, გამოჩნდება მთავრობის მხრითაც ვინმე ლეთიანი, მაღლიანი კაცია და მიაქცევს ყურადღებას ამდენი ხალხის გაჭირებულ მდგომარეობას, შეგვიდგენს წესდებს მუშაობის წეს-რიგისას და მით გამოგვისნის ამ ვაჟ-ბატონების უდიერ ქცევისაგან.

სამართალი და კანონი იმათ თავიანთ ხელში უჭირავსთ და, თუ რამე ვაბედა საწყალობა მუშამ, ჯერ უშვირის ბაზრული ვინთ ვალანძლენ და მერმე ჯოხის თავქებასაც არ დაიზარებენ. ამაში ერთი ახალი მესტამებე ძლიერ დახელოვნებულია.

ქუთათური ასათ ამწყობა მ. ბ — ქ.

*) აქ სასქში მუკას მსოფლიო ორი მესტამე — ერთი ქვედი თიძმის მქონე და მეორე კი ახლად დაკარგულ ნორმის, რომელიც ეკუთნაინ ეგრეთ წოდებულ ინტელიჯენტებს ღათისაიერი, სვიანდისაიერი მესტამეპნი აქ ბბ. სკლამე და კილაპე არიან.

ჩეხელნი და მათი ისტორია.

მრიალ საინტერესოთ მიგვაჩნია ჩვენი მკითხველებისათვის, ვაჯეროთ მათ ასეთი მხნე და თავის გამტანი ერის ისტორიული ცხოვრება, თუ როგორ მტკიცეთ, მოუღალაეთ, გმიროვანთ უბრძოლა დაპატიკოლებელ ვაგომებთან და ბოლოს მიუღწევი კიდევ თავის ერთგულ თეთი-არსებობამდის, თუ როგორ გამხდარა სრული უფლებით შემოსილი, თანასწორი მძა იმ ერისა, რომელსაც ერთ დროს იგი დაუმონაგებია.

ჩების ერი დასაწყეთ სლოვენთა მოდგმაა, რომელიც დასახლებულა ბოჰემიაში, მორავიაში და უნგარიის მთიან ნაწილში. ავსტრიის სახელმწიფოს უკანასკნელი სასტატისტიკო აღრიცხვით ჩების ხალხი შეიღ მილიონ ნახევრამდის აღის. ის შეადგენს მთელი ავსტრიის მცხოვრებთა თითქმის მეოთხედს. როგორც ისტორიიდან ჩანს, ისინი მოსულან აღმოსავლეთით და დასახლებულან მებუთე საუკუნეში გერმანელების მიწა-წყალზე, სახელდობ დალუჭრათ მაკრონების მიერ დაკალიერებული ქვეყანა. პირველათ ჩებელები იყვენ დაყოფილი პატარ-პატარა ვეარებთა, რომელნიც შემდეგ ერთ მთავრობაში განწყვეენ და ჰყუდათ თავის საკუთარი მეფე.

როდესაც გერმანიაში ჰაბსბურგის დინასტია გაძლიერდა, მან დაიპყრო სხვა-და-სხვა ერებს შორის ჩეხიაც და შექმნა ერთი ძლიერი გერმანიის იმპერია, რომლის იმპერატორები და განსაუთრებით კარლოს მეხუთე, მეთექვსმეტე საუკუნეში, შეიქმნენ მძღაერნი თეთიწყობელნი და დამორჩილებული ერებთა, უნგარია და ჩეხია, ძალიან დაზარეს. ამას შემდეგ ავსტრიის იმპერატორები როცა ტანსზე ავიდოდენ, ჩების და უნგარიის მეფეთა გვირგვინებს იდგამდენ თავზე და იწოდებოდენ სხვათა შორის ჩეხის მეფეებთა.

მეთოთხმეტე საუკუნემდის ჩების ხალხი კათოლიკის სარწმუნოებას აღიარებდა და ემორჩილებოდა რომის პაპს. იმ დროს ჩეხიაში მწიგნობრობა სულ ლათინურ ენაზე იყო. კათოლიკის საღვდლოებას ამ მხარეში დიდი შეძლება და ვაგვინა ჰქონდა. მაგრამ ამასთანავე ხალხი ძალიან შეწყუხებული იყო ერთი მხრით ავსტრიის იმპერატორებისა და მეორე მხრით — რომის პაპის წარმომადგენლებისაგან.

ხალხში ლეიოდა სული თავისუფლებისა, მაგრამ კაცია არ გამოჩნდა ისეთი, რამ იმას ეთავეებინა სარწმუნოებით და ეროვნებით ხალხი განეთავსულვებინა. აი, ამ დროს დაიბადა იქ ძლიერი ნიჭისა და დიდ-სულღთანი კაცი იოჰანე ჰუბი.

ის წყევლობდა 1889 წელს პაივის უნივერსიტეტში და მერე მღვდლად აკურთხა. ამ წელს შემდეგ მიიღო მანკაძის დისციპლუნიზაციის მკაცრებისა. შემდეგ გამოვიდა დეონის მკაცრებისა და ბოლოს მიიღო მანკაძის დისციპლუნიზაციის ხარისხი.


ამ ხარისხით იწერა მან ტანსაცმელი და მალე ავიწყდება, რომ პაივის დიკონს სულს მწვენილობის და მის ხელკუთხედს განსაკუთრებს და პრეტენზიას არ აკეთებთ მკაცრებით მთავრად და ქონების შესწავლა.

ის ამტკიცებდა, რომ პაივის და მისი ხელკუთხედი სულითგან კი არ ზრუნენ, უფრო ხორციურობის და მკაცრად ცოდვისის წესწილობის შესწავლას. ის უარყოფდა მანკაძის წოდების მერე ქონების შესწავლას. ამგვარად ქონების მითი პრეტენზიები, მათგან მის ბაღში, იგივე სხვის შეფასება, გახდა ის დღედილი, სიფხოს, მიძღვრის.

სამღვდლოებამ ბილი ბილი ქალი პაივის მოძიებებზე, რომელიც პირდაპირ აქცინდება, რომ სიყვითი იმპროვის სიყვითელიანი საღვდლოების ანგარიშის მოკლებობისაგან არანა მოვიხილოთ, რომ ცოდვითად ხალხს უფრო გამოტყუონ. სხვის მხარე დაიჭირა მისი ხალხის წოდების, მაშინ რომელიც საღვდლოებამ მის შეკლებული აღიარებდა.

სხვის ამტკიცებდა შემდეგ ქონების რაოდენობა, არც გამოტყუება საღვდლოების ანის ნამდვილი წარმოადგენს და აქცინებს მის პრეტენზიას მანკაძისა, ვინცე კლდის დანებებულობა, არც რომის პაივის დანებებულობა. ცოდვისი ანის უნივერსიტეტი კაცობრივი და არც ის გამოტყუება შემკული საზოგადოება, რომელიც თავის მეთერთ უცნობა რომის პაივის და მისი ანგარიშის ეს უცნობი უნივერსიტეტი მიიღო რომის პაივის ხელკუთხედის საღვდლოების და არც წინადაც კაცობის. ის ზარბაზის დღის მანკაძისა არც აძლევდა, რადგან, მისი ანგარიშის, სხვის და დღის ქონების საზოგადოებრივი ეს ვადიკაციონა.

ამ ცერის ანგარიშის სხვის არც იქნა შეწყობილი რომის პაივის მერე დღესამდე იმანკაძის.



იონანე კუბის სამხატვროების წინაშე.

და მესამე გენდენა ჰუსი პრავის უნივერსიტეტიდან. ამიერიდან ჰუსი იმალებოდა თავის ხალხის წარჩინებულებს შორის და თან-და-თან უფრო ღრმად იკვლევდა კათოლიკის ეკლესიის და მისი პაპის შეცდომებს. ყველაზე შესანიშნავი და საგულისხმო ჰუსისგან ის იყო, რომ იგი თხზავდა ჩებურ ენაზე საკალობლებს და გამამდიდრა სამშობლო ენა საეკლესიო ლიტერატურული ნაწარმოებებით. ხალხი აღტაცებით კითხულობდა მის ქადაგებას ჩებურ ენაზე და ჩების ხალხში თან-და თან წინ მიდოდა ეროვნული განვითარება.

ჰუსი წირვა-ლოცვის გაუგებარ ლათინურ ენაზე უარ-პყოვდა და ხალხი მის მიერ ჩებურ ენაზე გამოთქმულ ახალ საკალობლებს აღტაცებით ეგებებოდა. რომის პაპმა იოანე XXIII დაიბარა ჰუსი კონსტანტინის მსოფლიო კრებაზე კათოლიკე სარწმუნოების აღსარებლათ, რომ კრება დარწმუნებულიყო მის მართლმორწმუნეობაზე. მეფე სიგისმუნდმა მისცა ჰუსს მფარველობის ბარათი კონსტანტინე წასასულიათ და ჩააბარა ორ ჩების დიდებულს, რომ გზაზე იოანე ჰუსს არა შეემთხვესრაო. კრებაზე ჰუსმა მხნეთ აღიარა თავისი რწმენა და გაიკცა პაპის მსოფლიო უფლება. პაპმა ზძანა მისი შეპყრობა. თუმცა იქ კრებაზე დამსწრე მეფე სიგისმუნდმა და ჩების დიდებულთა ძალიან იწყინეს ჰუსის დატერა, მაგრამ იმით აღარაინ შეგუა. ჰუსი დაატუსაღეს ფრანცისკანის მონასტერში. რადგან მან უარი არ თქვა თავის მცნებაზე, ამისთვის 1415 წელს, 6 ივლისს თვით კრება შეეე გალწყეიტეს მას საკირზე დაწვა.

ზოგშიაში, ანუ უკეთ ეთქვით ჩეხიაში მისი სიკვილის დღე საერო დღესასწაულთა დადგეს. იოანე ჰუსი იყო ჩეხიის დიდი მამულიშვილი და ახალი ქრისტეს სარწმუნოების დამაარსებელი თავის ხალხში. მისი ქადაგებანი, საკალობლები და მრავალი საუილოსოფოსო და საღეთისმეტყველო თხზულებანი დაეღვენ საუფუძლათ ჩების ლიტერატურის და მისი ენის განვითარებას. იმანვე შემოილო ჩებურ ენაზე ამ ენისავე შესაფერო ანბანი. მის ახალ სარწმუნოებას მოჰყვა ჩების ხალხის ეროვნული განვითარება და ბრძოლა თავისუფლების გულისთვის გერმანელების წინააღმდეგ. საეკრეელო ღრმა პოლიტიკური აზრიც გამოსჰქეივოდა იოანე ჰუსის ახალ სარწმუნოებაში, მართლაც ეერაუერო ეერ იხსნიდა ჩების ხალხს გადაგვარებისა და გავერმანელებისაგან, რომ იოანე ჰუსს ჩების ხალხის პერითანების გულისთვის ახალი სარწმუნოება არ შეექმნა, რომელიც განირჩეოდა გერმანელ კათოლიკობსგან და რომელიც ეროვნულ მოძრაობას სულს უღვამდა.

ბ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

ბ მ ა მ თ ი ს ა .

(ჭეინესი.)




რთიელ მოეშაი, დაფარებული,
ტხათ მიდიოდა ცხენოსანია,
„საით მივდივარ? ნეტკუ რა შელის?“

ჭეითსვდა ის თავს სკვადანია,
„სტრფოს სეგენს, თუ უნელი სამარე?“
და მოეშა მისცა ამის პასუხი:
„უნელი სამარე“.

დაღონებული ოსრავს და აშაოს;
„ჩემი სიცოცხლე ღდრე ისხობა!
დაე, აღსრულდეს ნება განგების,
თუ შელის მაინც საფელას მშვიდობა“.
და ურთო უსმო :თამ პასუხათ მტხავრსა:
„საფელას მშვიდობა“.

მტხავრა შეწუნდა, დაღონდა შიშით,
და გაშოსცვიდა ცრქელა მდუღარე.—
თქვა: „თუ გო ვბოგე მუნ განსერენებს,
სანატრელაი სწორეთ სამარე!“
და კვლავ გაისმა იგო ხმა შთას:
„სანატრელაი სწორეთ სამარე!“

ია—ნ დათუშვილი



გ ა კ კ რ ი თ .

(გზა-და-გზა)

თფილისიდან პაქოდეი.—პაქო.—რამდენიმე დღე პაქოში.
—პაქოდან ლენქორანამდე.—კუთით მოგზაურობა.—ლენქორანი.—მისი ადგილ-მდებარეობა.—ბუნება.—ჭაჭა.—მცხოვრებთა რაოდენობა.—მკვიდრთა ცხოვრების სისასარი.—ლენქორანის ქართველობა.—მეორე ციშიბირი.—ლენქორანის ცხელი წყლები.—მათი მომავალი.—საერთო დაუფქრობა.—

I.



კანასკნელათ დაიკელო მატარებელმა. ხალხი შეინძრა, შეუარტმანდა და მატარებელიც მოწყდა სადგურის ბაქანს. თვალის დახამამებზე მოეშორდით თბილისის სადგურს და გავუ

დებიტ ბაქსკენ. ეს იყო ერთ შენიერ დღეს, ნა-
შუადღევის პირველ საათზე, ცხრა-თვალა მზე გადა-
ხრილიყო სამხრეთისაკენ და მალა-მალა წასული
დახზარდა მშობლურ ქალაქსა, რომელსაც რამდენ-
იმე ხნით უნდა მოეშორებოდი. უნდა გამოეტყუდე,
რომ ამ დღეს და იმ დროს, როდესაც ევაონის ღია
ფანჯრიდან ვადაცქეროდი თბილისს, იგი კვლავინ-
დელზე უფრო ღამაში, უფრო მამხიბლავი მეჩვენა.
რათა? რისთვის? სწორე მოვახსენათ გადაწყვეტი-
თვრ გეტყვით, მხოლოდ ასე კი მოხდა და!.. გამოუ-
თქმელი გრძნობა მომწევა გულზე... ამ დროს ნება
რომ მოეცათ ხმის ამოღებისა, მეგონა, შხამ-ნარეე
წყველა-კრულვით ვადაცქეროდი და გრძნობით აღ-
საესე სიტყვების შადრევანით დაეინთხოდი!.. იმიტომ
კი არა, რომ ეშორებოდი საქართველოს, არა პი-
რიქით, მე იმ ახრისა ვახლავარ, რომ ვიღრე ჩვენი
ყმაწვილი ხალხი არ მოშორდება ჩვენ ხავს-მოკიდე-
ბულ ცხოვრებას, და სამშობლოს გარეთ, უცხო
ქვეყანათა ნახვა-შესწავლით არ გაითვალისწინებს თა-
ვის დანიშნულებას-მოლოდენას, ვიღრე ჩვენი ახალ-
გაზნდობა—გონების საზრდოს მარტო დაქვეითებულ
სხვის თვალებით და ყურებით გადაქცეულ საქარ-
თველოს თავ-ბრუ დასმეველ არა-რამაზაში ვძიებს,
სანამ იგი „კალმეში“ ბაქოზას და თავის პირად ინ-
ტერესებს“ ვერ აცოდებდა!.. დიან, გული ამჩქ-
როლდა, უკანასკნელათ რომ ეშორებოდი ჩვენ
დღეა ქალაქს, იმიტომ რომ გამახსენდა ძალმომრე-
ობა და ღიზიანი ეგრავობისა და თვით-ნებობისა...
მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ჩვენი გრძნობა ეს
რათ უნდა, მკითხველო, როდესაც, პოეტის არ იყოს,
ახლანდელ დროში —

„გჭედა სხამა,
გრძნობას ატყდა!“

შემა და ბნელმა ფიქრებმა შემიპყრეს და მხო-
ლოდ მაშინ გამოვერკევი, როდესაც მატარებელმა
უცრათ დაიკილა და მხარა იცვალა. ერთხელ კი-
დემ გადმოვხედე ქალაქს: შორს მოჩანდა მთაწმინ-
დის გორა, მამადავითის ეკლესია და თითო-ოროლა
შენობა. ეს იყო და ეს! რამდენსამე წამს შემდეგ
თვალ-უწედნელმა სივრცემ ჩაიბთა თბილისი და გინ
იცის, ენახავდი კიდევ თუ არა!.. არვიცი, ჩემ მდგომ-
არებობაში ჩაყენებული ჩვენებური „კოსმოპოლიტი“
რა გუნებაზე იქნებოდა ამ დროს, მაგრამ მე კი გა-
ვითვალისწინე სამშობლოს ყოფა-ცხოვრება, მის
ძეთა „არე-დარევა“, მწაჩეთ ჩვეიკინე და გამახსენ-
და ჩვენი მეორე პოეტის სიტყვები:

„დასრეხულა შინა-შეკ,
გუხი ეტუბას წაღზედა...“

ოგნება ტანჯულის ჭკუენის
ქეთისნეს მთის წვერზედა“ *)

მირბოდა, მისრიალებდა დაგა-ღუგით მატარე-
ბელი, მთა მთას მიდევდა, გორაკი გორაკს გამოჰ-
კიდებოდა და მოტიტვლებული ტრიალი მინდვრები
კანკალით ერთი მეორეს ეფარებოდა. ერთ-ფეროვან-
ნი, ერთგვარი, მწირი ადგილები თვალბს ტყენდა
მაყურებელთ და თვე ბრუს სახამდა. იქნებდა ეს იყო
მიწეში, რომ ჩვენ ევაონში ყველას რული მოეკიდა
და თავის ქინდრვა დაიწყეს. აქა იქ თუ გამოეცხაუ-
რებოდა ხოლომე ერთი მეორეს, თორემ მარტო მა-
ტარებლის ქშინვა და ოხეზა-ლა არღვევდა სიჩუმეს.
საშინელი მოწყენილობა სუფევდა ევაონში, გარეთ
კი კვლავ ტრიალი მინდვრები და ალაგ-ალავ გატი-
ტვლებული, ობოლი გორაკები... მხოლოდ ათასში
ერთგან თუ გამოჩნდებოდა ხოლომე ჩვენი ზებერი
მტკვარი, რომელიც თან-და-თან უფრო მოწყენილი,
უფრო მდარე და ფართო მოჩანდა. მგზავრებიც
კვლავ ფიქრს მიცემოდენ, და მკედრული სიმუნჯე
გულს-გვირუხებდა. მარტო სადღურებზე არივოდა ხო-
ლომე ხალხი, მაგრამ რაც ქვეით და ქვეით მივიღო-
დით, იმდენი ღარიბი და ბოგანო ხალხი ამოდიოდა
მატარებელზე. ვეგონებოდათ მიწიდან ამომქვარალა-
ნი, საცოდაოდ გაფორებულ-ვატრტვლებულყოფენ
და დამურთხალი ცხრებივით გამოიყურებოდენ. ნი-
შან-წყალი ადამიანურის აზროვნებისა ერთს არ ეტ-
ყოზოდა! ღმერთო, ღმერთო, რა ემეულევათ ამდენ
გონებითა და ქონებით ღარიბ ღატკ ხალხსა მეთქი,
— ეფიქრობოდა და ძალაუნებურათ გამოველასაპირაკე
ერთ ჩემ თანამგზავრს.

— ეთომ ჩვენი მცხრამეტე საუკუნის მიწურუ-
ლების მცხოვრებნი ვართ! ჰა, შენ რას იტყვი?
— მეცხრამეტე საუკუნე რას მოუტანს კაცს,
თუ კი სწავლა არ გავრცელდება, თუ კი ადამიანი ადა-
მიანობას არ შეეჩევევა, ყრუთ მიპასუხა ჩემმა თანა-
მგზავრმა და უმპაყოფილოთ ხელი ჩაიქნია. ეტყო-
ბოდა, მეტი ღამაგზავრის ყურადღება მივაქციე ამ შე-
ნობებზე.
— მახლას! სომხისა არ იყოს!..

ბინდმა დაჭურა არე მარე და ჩვენი მატარებე-
ლი წყვილადმა გადაჰყლდა... მეორე დღით ბაქს-
მიეთახლოვდით. ჯერ ისევ შორიდან გამოჩნდნ რა-
ღაც კოშკის მსგავსი, წაწოლა შენობები და როდეს-
საც ჩემი თანამგზავრის ყურადღება მივაქციე ამ შე-
ნობებსა, მიპასუხა:

*) „პსტიონი“ — გვახსი, გვერდი 40 — 41.

—ნუ თუ არ იცი, რა შენობებია ეგენიო!

—არ ვიცი, პირველათ მოვდივარ აქეთ—მეთქი.

—ეგენი ის მანქანებია, რითაც ნავთს იწურავენ მიწიდანაო. დაეცქერდი. რამდენიმე ათეული ამ გვარ შენობათა ერთი მეორეს ამოდგომოდა გვერდში და შეაზნულათ გამურულნი გამოიყურებოდნენ. მათი გარშემო მიდამო, თვით რკინის გზის ლიანდაგის აქეთ იქითაც კი, ნავით იყო გაქვნივითლი. ერთი ღერი ბალახი რა არის, ერთი ღერი, ისიც კი არასით მოპოაებოდა, მხოლოდ რაღაც მიწის ფერი, სხელი ფამფარის მსგავსი, კლერტოები საცოდავით დაჰკოდნენ ღეღამიწას... სწორეთ შესაზარი სანახავია ეს მოქაჩლებული, ნაკარტუტთა ქვეული ზედაპირი ნიადაგისა, მაგრამ ბუნებას თუ ზედაპირი დაუჩაგრავს, სამაგიეროთ ღეღამიწის გულა სიმდიდრით აუესია და ტყე-მწვანე-ანჯარა წყაროების ნაცვლათ უღვეევი ნავთით დაუჯილდობია. ბუნება ხომ ადამიანი არ არის, რომ თავისავე თანამომცემ მოუნდომოს ძირიან-უვეციანათ აღმოფხვრა და განადგურებია!.




ნავთით არის-მეთქი გაქვნივითლი ბაქას მიდამო და ადამიანის გამჭირახობასაც არ გამოჰპარვია ეს გულ-კეთილობა ბუნებისა! შეფიქრეფი თუ არა, რომ ამ მიწის მიწას ფულებს ეაზობინებო და ფულით კი ქვეყანას დავიმონებო, აუჯო ის უთვალავი ქარხნები, რომელთაგანაც თითოეული მათგანი რამდენიმე ათას მანეთათ ჰღირს და თავის ფასის ანაზღაურების შემდეგ, მილიონებს უჩხრიალებს თავის პატრონებს. უცქერი და გიკვირს ამდენი სიმდიდრე, — უცქერი და თავისთვის წაანგარიში ევრ მიგიცია, ძალაუწევურათ კითხულობთ, ვისია ეს სიმდიდრეო? რასაკიერებელია, საერთოდ ხალხის უნდა იყოსო, გეუბნებათ წრფელი გული და სალი გონება, მაგრამ, როდესაც გაითვალისწინებთ ნავთის ნაწარმოების საქმეს; უარეს განცდიფრებაში მოდიხართ, რადგანაც გრძნობთ, რომ ეს უთვალავი სიმდიდრე მარტო რამდენიმე კაპიტალისტის ჯიბეში ჩადის!.. ვინ იცის რამდენი ასი და ათასი მუშა იტანჯება ამ ქარხნებში, ღლე და ღამეს ასწორებს, თავს აკლავს, ცოლ-შვილი მშვიერი ეხოცება და მხოლოდ ერთი, ორი კი მდიდრდება და მერე მდიდრდება როგორ?.. უბრალო მომაკვდიელი მუერკევი წარმოიდგენს!.. სიმდი-

დრესთან მექარხნეებს სიხარბეც ემატებათ და საწყალ მუშებს გროშებზე აბაჟენ.

—მე ფული მაქვს, სიმდიდრე, ეუბნება მექარხნი მუშას—შენ კი უღუკვაპურით დახეტიალებ, მშვიერი კედები, მოდი იმუწეე ჩემ ქარხანაში, დილის ალიონიდან საღამოს მწუხრამდის, მე მომიღე შენი ძალა-ღონე, შენი ტვინი, ხელები, ფეხები, ძარღვები და მეც ღლეში ათ შუაქს მოგცემა (ორთა შუა რიცხვი ქარხნებში ვიმუშავებთა საყიდლისა). ჩემი პირობა ეს არის, გობავს იმუწეე, ჰქუას ნუ წაავებ, თორემ შენზე იაუთ სხვას ეყადიო; არა და, მიბძანდი საითაც გინდა, თავსუფაფი ბძანდებო... და ვალატაკებული, ვაბოგანოებული მუშა ხალხიც ცხებრებოთ აწყდება ამ უღმერთო სამუშაოს. რა ჰქნან? ასეთია აწინდელი ცხოვრების ვითარება. და ჯერ-ჯერობით ამ ჯოჯოხეთური ცხოვრების ჩარხის ტრალს ევრავინ შეაჩერებს!..

თა კვლავ!

(შემაგეო აქნება).



„კვალის“ კორესპონდენციები.

ფოფ. წესი (ჩაქის მხარე). 30 მარტს დიდის ათ სათზე გარდაიცვალა ამ სოფლის მღვდელი, მამა პლატონ ელბაქიძე. განსვენებული ოც და-შვიდი წლის კაცა თუ იქნებოდა, მასთან კეთილი და პატიოსანი, სწავლა ჰქონდა დასრულებული თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც მრავალი ტანჯვა გამოაჩა სარაობის გამო. მის შრომას ამაოთ არ ჩაუვლია ჩვენ სოფელში. ხალხს ძლიერ უყვარდა განსვენებული მამა პლატონი, ყოველი წირვის შემდეგ იგი დაიბარებდა ხოლმე ხალხს ეკლესიაზე და საღამომდე უკითხავდა წმიდა მამათა ცხოვრებას. განსვენებულმა მოიწადინა ეკლესიის ახლო დეარესებინა სამრევლო სკოლა, მაგრამ ამ დროს დაეხოცა ცოლ-შვილი და ეს კეთილი განზრახვა დარჩა შეუსრულებელი. განსვენებულს ღარიბები ძალიან გებრალბებოდა ღმწობათ „ღრამასაც“ არ ახდევინებდა მათ. მან მიიღო მსურველე მონაწილეობა ამბროლაურის უფსაო სამკითხველოს დაარსების საქმეში. მისი საწყ-

სო და მრავალი სხვა სოფლიდან მოსულნი დაესწრენ მის დასაფლავებზე. კეთილათ იყოს ხსენება შენი პატრიოსანო გვამო!

განო ჭიჭინაძე.

* *

დაბა ხონი. დაბა ხონს არჩენათ ძინავს. ყველგან სწავლა-განათლებლზე ზრუნავენ, სახალხო სამკითხველოებს აარსებენ, სადაც ყოველ მსურველს თავისუფლათ შეუძლია სხვა-და-სხვა ვაზეთ-წიგნების კითხვა; ასეთს სამკითხველოს კი დაბა ხონი მოაკლებულია. იქნება იფიქროთ, სიღარიბის გამო ვერ შესძლო სამკითხველოს დაარსება. სრულიად არა; აქაური ვაჭრები და დაბის გარშემო მცხოვრებნი იმდენათ შეძლებულნი არიან, რომ არამც თუ სამკითხველოს, სკოლასაც დააარსებენ, რომ მოინდომონ. მაგრამ ეს ხალხის ბრალა არ არის; ზამ გაკვირნათ: „როგორც მღვდელიო, ისეთი მრევლიო“. აქ რომ საზოგადოებს გულ-შემატაკივარი მოძღვარი და მასწავლებელი გეყავდეს, თითო-ოროლა მანეთს ადვილათ შეკრებდენ და სამკითხველოს დააარსებდენ. აქაურებს ბ. ივანე შარაშიძის იმედი აქეთ: ისეც ის არ მოაკლებს თავის მზრუნველობას დაბა ხონს, როგორც აქამდის უშრომნია, თორემ სხვები ზამ თავლში ხელის რევას ვერ მოარჩებია!

მიცანი ბ. შ.

* *

სოფ. ძამითი (ოზურგეთის მაზრა). ჩვენი საზოგადოება ორ სოფლათ გაიყოფება: აღმოსავლეთის მხარეზე სოფელი ძამითია, დასავლეთისაზე კი—ბაილეთი, მაგრამ ეს ოთხი წელიწადია ჩვენ სულ ერთმანეთს ეგვიბრებოთ, დიდი მტრობა და შურისძიება ჩვენში, ამ ორ ძმა სოფლებს შორის. ჩვენი ერთმანეთისადმი სიძულვილი არ ჩამოუჩრებია ენლანდელ კრიტლებსა და ოსმალოების მტრობას. რა არის ამის მიზეზიო?—კითხვას ბ. მკითხველი. ის გახლავსთ, რომ ჩვენ შორის სოფლის მამასახლისის ამოჩრევა ვერ მოხვდა სისწორით. ყველამ კარგათ იცის, რომ სოფლის ბედ-ბოლალი დიდ კაცობაზეა დამყარებული. ვისაც ისინი განიზრახებენ, მამასახლისათ ის უნდა იქნეს არჩეული. თქვენ მტერს მოუვიდა, რაც გლებ-

კაცობას მოუვა, უკეთუ მათი სურვილისამებრ იქნა არჩეული მამასახლისი. აქაური გლებკაცობა სულ თავად-აზნაურების მიწებზე მუშაობს და ამით ჰყევაბავს კოლ-შიგის.

წინა არჩევის დროს აქაურმა თავადის მოურავმა ბ. რ. უ—ძემ საზოგადოებას დაანიშნია მამასახლისათ მისივე გვირის კაც, რომელიც მისი ბრძანებისამებრ აღუსრულებდა ყოველივე მის გულის ნდომას, მაგრამ ამ ამოჩრევემ ზამ ჩვენ ხეირი არ დაგეყარა: ჩვენი მამასახლისის წყალობით ჩვენში შური და მტრობა ასტყდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. მოაწია არჩევანის დრომ; ახლა მაინც ეფიქრობდეთ თავის შევლას, მაგრამ კიდევ უარესი დღე დგავდა: ბატონმა მოურავმა იკადრა სოფელში „ჩამორება“ და ჯეღანი დავაშინა და დავაუეთა: თუ ისეც მამასახლისათ ხ. უ—ძე არ დაგიჩრენიათ, ჩვენ მამულში ფეხი არ დადგათ სამუშაოთ! არჩევაზე ბრძანდებოდა ბ. პოლიციის ბოქაული ჯაფარბეგ, მაგრამ ის რას იზამდა? რამოდენიმე კაცი აფიჩქოლდით „ეძიხნით ახალი აღიერიხოთო!..“ მაგრამ, ზამ მოგვხსენებთ, „შიშს დიდი თელი აქესო“, იმის არ იყოს, ბ. მოურავი გეთვალთვალდებდა, ვინ რას იტყვისო, და ჩვენც ზამ წინააღმდეგობას ვერ გაუფუგადებდით. უმეტესობამ ისეც ძველი მამასახლისი ვინდამეთ. ჩვენი გარემოება რამოდენიმე პრმა მთავრობის ყურადღებამდის მიეწვდინეთ. იქმნა დანიშნული ახალი ყრილობა, მეორე პოლიციის ბოქაულის, ბ. იოსელიანისაგან. როგორც იყო რამოდენიმე წაეჭხლით და, მოურავის წინააღმდეგ, ამოვარჩიეთ ახალი მამასახლისი, ჯახუტაიშვილი, მაგრამ საქმე არც ამით გათავდა: ვისაც სურდა, ჩამოიარეს სოფელ-სოფელ და საჩივარი გაგზავნეს მთავრობასთან, „ამოჩრევეა უკანონოთ შემდგარიო“. და ახლა ისე მოველით ჩვენივე განაჩენის შესწორებას, რომელიც უეჭველია შეხედება ახალ ჩვენს პოლიციის ბოქაულს, ბ. ქავთარბეგს. იმედია, ბ. ქავთარბეგ მიაქცევს ყურადღებას ჩვენ მდგომარეობას და ცუდი არ იქმნება, რომ დახურული კენჭის ყრით მოახდენდეს მამასახლისის არჩევას.

ერთი წევრბატონი.

თუშური სიმღერები.

წერილი რედაქციის მიმართ.

V. *)



აირბოს, 1) ხარო-ირემო,
 რასად იპარებ ნისლათა?
 აღრა გეყავის შაბალაიძე? 2)
 შიშით რას ილევ ტანსაო?
 შაბალაიძე ციბიროს 3) ჩაეიღოდ—
 ტყვია შაღებოს სისხლითა,
 ციბირო, ღულა-აბდალის ციხეო,
 ქვაი ნუ გედოს ქვაზედა. 4)
 შემოგეგვია რეესკის ჯარია—
 შიშის გაქანებს ქარია;
 მოგვიარდებოდ შაბალაიძე,
 ლიბოს 5) გირღვევდა ძირსაო.
 თოფი დავიკრეს შაბალაიძეს—
 მუხლი მოვეიტებ ლევა მგლისაო.
 ევა შაიტყო რუსთა უფროსმა,
 ფიცხლავ წამოდგებოა:
 რადა მოვეიკლეს შაბალაიძე—
 დღე დაგიბნელდ მზიანია.
 აიყვანეს რუსთა ჯარებმა,
 დაასენენს ბალაგნებშია.
 ევა შაიტყეს კანეთსა—
 მდიდარ-ლარიბიც ატირდებოდა.
 ამ შაირის მოშაირე
 შირაქს მეცხვართ ეარია;
 ცხვარი მეა მელევა ზამთრითა—
 ეარ გულ-ჯაფრიანადა;
 ლალიცა, ძმანო, ნურას გვეგანოთ,—
 შორთოს 6) დემეტრე ეარია.


(შეშკვბე იქნება)



-ნო რედაქტორო! კვალის მე-15 №-ში და-
 ბეჭდილია კორესპონდენცია ბ-ნ რ. ალფეზი-
 ძესი, განჯის სადგურის სამკითველოს შესა-
 ნებ. ეს კორესპონდენცია შემეხება მეც, სამკითხვე-
 ლოს გამგეს. ცოტა არ იყოს გულდაუშვინიანებით გა-
 უბერია ბ-ნ კორესპონდენტს მისი მოწერილი ამბავი.
 სიმართლის აღსადგენათ, უმოჩინოვლესათ ვთხოვთ და-
 უთმობთ ალაგი თქვენ პატივცემულ გავითის ფურ-
 ცელზე შემდეგ სტრიქონებს. ბ-ნ რ. ალფეზიძე თა-
 ვის კორესპონდენციაში ბრძანებს: „მე დრო ბევრი
 მქონდა და ძალიანაც მინდოდა წამეკითხა რამე, ფა-
 სით მაინც, მაგრამ რადგანაც ამნაირ პირობებზე ყო-
 ფილა დამყარებული აქაური წიგნთ-საცავის სამკითხ-
 ველო, თავი დავენებ და მთელი რვა-ცხრა საათი
 უბრალო ხეტიალში დევარგე“-ო... რას ბრძანებთ,
 ბ-ნო ალფეზიძე? თუ ის მიგანით ცუდ პირობებათ,
 რომ ზოგიერთ „ძალიან-მაცხანეთ“ უფასოთ ნებას
 არ ეძლეეთ სამკითხველოთი ისარგებლონ, ამაში
 შემეცდარი ბძანდებით, რადგანაც მუქათათ საქმის წარ-
 მოება არამც თუ პროვინციების, დიდ ქალაქების სა-
 მკითხველოებსაც კი გასჭირვებით... ამის უმთავრესი
 მიზეზი სამკითხველოს სიღარიბე გახლავს და არა ის
 „სასტიკი განცხადება“, რომელსაც თქვენ აგვ დუში-
 ნებისხართ. თუ წაფელის გულით ცოტას მაინც თა-
 ნაუფერძნობთ ამ საქმეს, რატომ მაშინ, როდესაც მე
 გაუწყეთ სამკითხველოს დაქვეითების მიზეზები, არ
 გამოიღეთ და არ დაგვიბრდით სამკითხველოს სასარ-
 გებლოთ „მანეთის“ ერთი მეთოთხედი მაინც? — „წერის
 მეთს სხვას არავის არ შეუძლია აქ შემოსვლა და
 კითხვა, არც „ფასით, არც უფასოთ“-ო. ამას მაინც
 რათა ბძანებთ, ბ-ნო ალფეზიძე? თქვენ შეგძლოთ
 ფასი გადაგებადათ და გკითხათ საწერო ფულს ად-
 ვილათ შემოიტანდით. რაც შეეხება ამას, თითქო
 ჩვენ „კერძო პირებს არ ვიღებდეთ სამკითხველოს
 წვერებათ“—ამაში კი ძალიან მოსყუებულიხართ:
 ჩვენ სამკითხველოში ბევრი კერძო პირებიც ითვლე-
 ბიან წვერებათ.

განჯის სადგურის სამკითხველოს გამგე: ერ. გენქიასაძე.

*) იხ. „კვება“ № 15.
 1) ნაქერდის ქედის ერთ-ერთი შტო; ეს ქედი
 თუშეთის მხრიდან გადმოჰქურდეს თელავს.
 2) თუშის გვარი.
 3) დიდოთ სოფელი.
 4) ეს ჩვეულებრივი ადგილებია თუშურ ლექსებში.
 5) სანირკველი.
 6) თუშის სასული.



ცხოველთა შთანაჩენის ვანვითარება.

(დასასრული. *)

მემენტაციის წყალობით კერძი ანუ საკერძოც უფროდ ბევრ უჯრედებთან, ბლასტომერებათ დაიქუწება. ეს უქანასქნელნი კი ერთ წრეში ირავლები არიან მოთავსებულნი და ბურთით შორგვალბულ სხეულს წარმოადგენენ. ამ ბურთის შუაგული კი სითხეთი აქვს აღესილი. შთანაჩენის ამ ფორმას blastula ეწოდება. ახლა blastula-ს განვითარება კიდევ წინ წაიწეოს. შემდეგი სტადიის მისაღწევით აქამდე გვარ პროცესს აქვს ადგილი. შეიძლება, ზოგი ბლასტომერი წრიდან გამოვიდეს, გამაოიკრობოს და ბლასტულის შიგნით სითხეში შეტრიალოს. ამ პროცესს იმპარტაცია ეწოდება, რადგან აქ ბლასტომერები წრიდან შუაგულში იხიზნებიან. ეს ჩახიზნული ბლასტომერები მკიდროთ ჩაწყობიან და შიგნიდან ბლასტომერების პირველ რიგს მეორე წრეთ, მეორე კეცათ გამოიკვრიან. ახლა ბლასტულა უჯრედთა ორი კეცისაგან არის შემდგარი. ცოტა ხანს შემდეგ ამ რიგალს და მთელ ბლასტულას ერთ ადგილას კარი, გამოსასვლელი ხერხელი გაუჩნდება და ახლა იგი gastrula-ს წარმოადგენს. მეორე პროცესის წყალობითაც blastula ისევე gastrula-თ გარდქეცება. ხოლო აქ ბლასტომერები კი არ იხიზნებიან, არამედ თითოეული ბლასტომერი ორთა გაღვივარებას გაიყოფება. შედეგი ამისა იქვე ის იქნება—უჯრედთა ორკეცითი blastula. აქაც gastrula იჩენს თავს, რაკი კარი გაუჩნდება. ამ მეორე პროცესს ლემნისაცა ჰქვია, რადგან აქ ბლასტომერები შუაზე ორთა გაიჩლითებიან, გაწყდებიან ხოლმე. მესამე გვარ პროცესსაც აქვს უფრო ხშირით ადგილი. blastula რომ gastrula-თ გადაქცეს, ამისათვის ერთი რომელიმე ადგილი blastula-სი ჩაიხიზნებება, ჩაიტკიცებება. ჩახიზნული ადგილი თან-და-თან შიგნით მოექცევა და შიგნიდანვე გამოიკვრიან ბლასტომერის პირველ რიგს. აქ გამოსასვლელი კარი მაშინათვე ჩნდება. ამ პროცესს იმპარტაცია ანუ გასტრუქაცია ეწოდება. სამივე პროცესის წყალობით, როგორც ვხედავთ, blastula gastrula-თ ქცევა. პირველი ბურთითი მორგვალბებულთა, მთელია, ე. ი. არსად ხერხელი შიგნით შესასვლელი არა აქვს და უჯრედთა ერთი კეცისაგან შედგება. მეორე კი ცოტათი ვარძკილებულთა, შემდგარი უჯრედთა ორი კეცისაგან და ერთ ადგილას კარი, ანუ პირი აქვს. ბევრი ცხოველია, რომელიც gastrula-თი დასასრულებს ხოლმე განვითარებას, ამას

იქით აღარ მიდის. ასეთ ცხოველს წარმოადგენს, მაგ. Hydra.

ძუძუებთანთა blastula ცოტათი განიზრევა, განსხვავდება აქ აწერილისაგან ბლასტომერები ძუძუებთანთა blastula-სი უფრო მკიდროთ არიან მოთავსებულნი, უფრო შეტუბუნებული და შეწყებულნი; ამიტომ მათ შორის შუაადგილი, სითხით აღესილი, თითქმის რომ არც მოიპოვება. ვისაც უნახავს მაცულისა, ან თუთის ნაყოფი, მას ადვილათ შეუძლია წარმოიდგინოს blastula-ს ფორმა. მაცულის ნაყოფის კიშპლები ბლასტომერებს უდრის. თვით სახელწოდება ამ ფორმის blastula-სი იქიდან წარმოადგა, რომ მაცულის ნაყოფის მსგავსია, ამ ფორმას blastula კი არა, morula ეწოდება. Morula-ც იმავინაციის წყალობით გასტრულათ გარდაიქცევა. მაშასადამე, ადამიანის კერძი სემენტაციის შემდეგ morula-თ გადაქმნება, შემდეგ კი gastrula-თ.

როგორც ვხედავთ, gastrula ბლასტომერთა ორი კეცისაგან არის შემდგარი. გარეთა კეცი ეკტოდერმას წარმოადგენს, ხოლო შიგნითა კი ენდოდერმას. ამ ორთავე კეცის შემდეგი განვითარება და დანიშნულება სხვა-და-სხვაა. ეკტოდერმამ უნდა წარმოშობოს კანი და, რაც კანში მოიპოვება, მაგ., საოფლე ფორთხიანი მილი. ზურგისა და თავის ტვინიც მანვე უნდა წარმოშობოს. ენდოდერმისაგან კი წარმოადგება საზრდოს მოსანელებელი მილი—ტუჩი, ნაწლავები და მსხვილი წელი—და ხორცი, ანუ მუსკულები, კუნთები.

მიყვეთ კიდევ ცოტაზე ერთისა და მეორეს განვითარებას, და ამით დაეხლოვით სტატიაც, თორემ მეშინია, მკითხველი არ მომიწყინდეს და... შემდეგ კი, სხვა დროს, თუ მკითხველის სურვილიც იქნება, შევიძლია უფრო ქვევით წაივლით და მეტიც გავივლით ცხოველთა განვითარების შესახებ. ახლა კი მკითხველს ვთხოვ, კიდევ ცოტა ხანს წაიხილოს ყურადღება.

დღიწყოთ ეკტოდერმიდან. ეკტოდერმის ერთ ადგილას უჯრედები ძალზე გამსხვილებია. თვით ეკტოდერმა კი აქვე ჩაიხიზნებება. შედეგი ამისა კი ის იქნება, რომ gastrula-ს სიგრძით ღარი იჩენს თავს. ეს ღარი თან-და-თან შიგნით ჩაიწეოს; ბოლოს მისი თავისუფალი კიდები ერთმანეთს დაუხლოვდებიან და კიდევ შეერთდებიან. ახლა, მაშასადამე, gastrula-ს ეკტოდერმას ქვეშ მთელი მილი აქვს სიგრძით. ეს მთელი მილი კი წარმოადგენს პირველ ნასახს ზურგისა და თავის ტვინისას.

თავის მხრით ენდოდერმაც მოქმედებს ამ დროს. იგი ორივე მხრით, მარცხნივ და მარჯვნივ შიგნიდან გარეთ გამოიხიზნებება. ამის შედეგი კი ის იქნე-

*) იხ. „გალო“ № 14.

ბა: gastrula-ში რომ შევიდეთ და იქ აქეთ-იქეთ მივიხედ-მოვიხედოთ, ისეთ შთაბეჭდილებებს მივიღებთ, თითქოს ენდოდერმაზე ვისმე პატარა ჯიბეები მიეკრებინოს წველ წველათ მთელ სიგრძეზე, ეს ჯიბეები ენდოდერმას შემდეგ სრულიად მოწყდებიან და მისგან დამოუკიდებელი შეიქნებიან. gastrula რომ ამ სტადიაზე გარდი-გარმო გავტაროთ, დაინახავთ, რომ მისი აუბულებანი შემდეგ ნაირია: გარედან ეკტოდერმაშია გამოხვეული. ეკტოდერმას ქვეშ პატარა მილია, რომელს ქვეშ აგრეთვე მოთავსებულია უფრო დიდი და ვრცელი მილი. უკანასკნელს მარჯვნივ და მარცხნივ კი ორი პატარა მილეხა, პირველი პატარა მილი წარმოადგენს ზურგისა და თავის ტვინის ნასასს, ანუ სატვინო მილს წარმოადგენს. მას ქვეშ მოქცეულია დიდი მილი საზრდოს მოსანერგებელი მილია. ორი პატარა მილები კი ხორცსა, ანუ მუსკულებს წარმოაშობენ შემდეგ, და მათ მკნაფრებში ეწოდება. რადგან ეს მილები ეკტოდერმასა და ენდოდერმას შუა მოთავსებულია, ამიტომ მეზოდერმა ერთი მხრით ეკტოდერმას გვეკრის შიგნიდან, მეორე მხრით კი ენდოდერმას გარედან. თავისუფალი ბოლოთი კი ერთმანეთს შეუერთდებიან ეს მილები: ერთი ბოლოთი ენდოდერმას ზეით შეერთდებიან, მეორეთი მის ქვევით. მეზოდერმას, ანუ იმ ორ პატარა მილებს შუა მოქცეული ხერტილი გვაფართოვდება, გაგანიერდება და წარმოშობავს იმას, რასაც ტანის სიფულუროვე ანუ coelom ეწოდება. როგორც ვიცით, ტანის ამ სიფულუროვეშია მოთავსებული გულე და ფილტვები, ლეიძლი და საზრდოს მოსანერგებელი მილიც.

ბევრი დასრულებული ცხოველია, რომელიც წარმოადგენს სრულ მსგავსებას ამ სტადიაზე მყოფი gastrula-ისას. ასეთებია, მაგ., ჭიები, წურბელა და ერთი ხერხემლიანიც კი, რომელსაც amphioxus ეწოდება. საზოგადოთ ჰომოტებიანთა და ადამიანის, ფრინველთა და მხოხავთა, ბაყაყთა და თევზთა შთანაჩენნი განვითარების ამ სტადიაზე და შემდეგ კიდევ კარგა ხანს ერთი-მეორის სრულ მსგავსებას წარმოადგენენ. ამიტომ, თუ წინდაწინვე არ იცის, შემდეგ შეუძლებელია კაცმა გამოიკნოს, რომელი ცხოველის შთანაჩენს ეკუთვნის ამ სტადიაზე მყოფი განსახულება. ამიტომ ის სიტყვები ფონ-ბერისა, რომელიც ზეით გვაქვს მოყვანილი, ახლა ცხადი და გასაგები იქნება მკითხველისათვის.

ამ ქაბათ შევეცდითა ამით დავემყოფილდეთ, მით უფრო, რომ ჩვენ ცხოველთა განვითარების შესახებ ახლა იმდენი რამ ვიცით, რაიც წარსული საუკუნოების მეცნიერთა კი სიმშრათ არ მოლანდებიათ. აი, მაგალითათ, რა ახირებული წარმოადგენა

ჰქონდათ ამ საკითხის შესახებ მე-XVIII საუკუნის მეცნიერთ.

მე-XVIII საუკუნეში ფიქრობდენ, რომ ცხოველთა შთანაჩენი დედის მუცელში სრულიად მზა-მზარეული და დასრულებულია და იგი მოაწიფული, ჰასკში მოსული ცხოველისაგან არაფრით განსხვავდება. ასე დასრულებული შთანაჩენი კი ყოველ დედალ ცხოველს იმ თავიდანვე ნაანდერძები აქვს. ვთქვათ, ქათამი რომ გააჩინა შემოქმედმა, მას რამდენიმე მილიარდი ქათმისავე შთანაჩენები მოუთავსა მუცელში. თვით ეს შთანაჩენი კი ერთმანეთშია ჩაწყობილი ისე, როგორც ხელი ხელთათმანში. დედალი თავის სიცოცხლეში რამდენმე კვირებს დადებს. ამდენათვე შემსირდება კიდები ნაანდერძებზე შთანაჩენთა. დაარჩენთ კი დედალი თავის დედალ წიწილებს ვადაცემს და მათ დაუბრავებს. ესენიც თავის მხრით ისე მოიქცევიან, როგორც მათი დედა მოიქცა. განსახულებათა ამნაირათ გაჩენას კი მაღალი ფარდის სახელ-წოდება ჰქონდა. ამ წარმოადგენს, ამ მოძღვრებას ევოლიუციონური განვითარების თეორია ეწოდებოდა! დაწმუნებული ვარ, აქ მკითხველი გაიღიზნებს, გაიღიზნებს კი იმიტომ, რომ აქ ევოლიუციის ნატამალიც არ მოიპოვება. სადაც პროცესი იმ თავიდანვე დასრულებულია და მოვლენა ცელილებათ აღარ განიცდის, იქ ევოლიუციას აღდელი არა აქვს. მე-XVIII საუკუნის ასეთი ახირებული შეხედულება კი იმის შედეგია, რომ მაშინ ღრმით რწამათ გვართა დადკრომოლოზა და უცვალებადობა. ამასთანავე მაშინ ამა თუ იმა სამეცნიერო დასკვნას გამოვიტყობებს და დაკვირვებაზე კი არ ამყარებდენ: მაშინ უფრო ხშირათ, აპროპოლთათ, განყენებულათ სჯიდენ ყოველ ფერზე; მტკიცეთ აღდენ ძველი ღროის ფილოსოფოსთა ნაანდერძებ მეთოდს: Panton o anthropos meros estin (ადამიანი ყოველფრის საზოამე).

დანა! დღეს ჩემი მკითხველი დაცინით გაიღიზნებს. გავიღიზოთ! მაგრამ ეს ღმილი ნუ გვექმნება ნინშათ სრული კმაყოფილებისა და მეტიჩრობისა, მედიდურებისა...

o. ფანცხავა.

რედაქტორ-გამომცემელ ან. თ.-წყნეთელისა

ქურნალი „**ჩეხვილი**“ 1897 წ. გამოდის ყოველ თვე ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს და ქურნალი ღირს თბილისში 4 მ. და ქლაქ გარეთ 5 მანეთი.